

ჯარის ნაშილებას
უფასოთ ეგზამ-
ნიათ.

25 ივლისი 1920 წ.



მხედარი

ვერ 10 გვ.

1845

ორგანო სამხ. სამი. კულტ. განათლ. საქონისა.

№ 8



აჭარა-ქობულეთის ტიპები,

ფულისი, 25 ივლისი.

ობლის „ობლის კვერი გვიან გამოცხვა, მაგრამ კვერი. კარგათ გამოცხვით“ — ამბობს ხალხური ოქმულება. და ხალხური ზღაპარიც გაღმოგვცემს, რომ ბოროტი დედინაცვლის ხელში სიცოცხლე გამწარებული ობლის ბოლოს მაინც გამარჯვებული გამოდის და ხშირად ტახტის მემკვიდრედაც ხდება.

ჩვენი ქვეყნის ბეჭიც ამ ზღაპრულ ობლის ბედისა ჰგავს. ცხოვრების ქარტეხილში ყველასაგან მიტოვებული, დედინაცვლისაგან ათვალისწუნებული და გამწარებული, აბეზარ მეზობელთაგან

ღვარძლშენისეული, ჩვენი ქვეყანაც, ზღაპრული ობოლის ნიმბითა და იობის მოთმინებით აღჭურვილი, წარმშეუხელიდ ჰზიდავს ცხოვრების მძიმე ტვირთს და შეუპოვრად უმკლავდება ყველა გარემომდგარ გასაჭირს. თავისი ძალა და ძლევამოსილება გულშივე დააჭვს, იგი მხოლოდ თავის საკუთარ ძალონებს ემყარება, საკუთარი აზრითა და გონიერებით მიიკვლევს გზას ცეცხლის წვიმით დაფენილ მიდამოს გატიალებულ ველზე. იგი ერთის წუთითაც არ ჩება სხვა ხელში შემყურედ, იგი არ ელის სხვისი ხელით გაბეღნიერებას.

ასეთს ქაბანწყვეტაში გამოსჭედა მან თავისი ქვეყნის ბედი, ასე გვიან მაგრამ ქარგად გამოცხვა

მისი ბედის კვერიც.

ობლად მიტოვებული, ათას ვიგინდარათაგან შებდალული და დამცირებული საქართველო წელში აიმართა და გაბედულად, თვალმაისად შეჰყურებს მთელს ქვეყანას: მან მიაღწია უძლრეს გამარჯვებას, მან მოიმკო უმაღლესი დიდება. იგი რუსეთის დანგრეულ ტახტის მემკვიდრედ გახდა. იგი გვერდში ამოუდგა ევროპის დიდ სახელმწიფოებს. მისი დროშა, ეს ერთად-ერთი დროშაა კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც უმძრად, უსისხლოთ, თავისი ხელით ააფრიალეს ინგლისელებმა 7 ივლისს ბათომში, ინგლისისა და საფრანგეთის დროშების ჩამოშვების შემდეგ.

ეს არის ზღაპრული ობლის უდიდესი გამარჯვება! ეს არის განუზომელი ზნეობრივი დამარცხება ჩვენი ქვეყნის შინაურ და გარეულ მტერმოყვარეთა!

ეს არის ვილსონის 14 მუხლის განხორციელება. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ამის მსგავსი დღე!

მსოფლიო ომიდან ძლევამოსით გამოსული ეკრობა ქედს იდრეკს ობლობაში გამოზღიულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სამართლიან მისწრაფების წინაშე. იგი ნებაყოფლობით უთმობს მას ასპარეზს. ამითი ევროპა საქვეყნოდ აღიარებს ჩვენი ერის სახელმწიფოებრივ შემოქმედების უნარს, მის პოლიტიკურ გამჭრიახობას, მის კულტურის ძლიერებას.

თუ კი ძლევამოსილი, განათლებული ევროპა ეგოდენის ნდობით და პატივით ეპყრობა ჩვენი ქვეყნის მესვეურთა გამჭრიახობას, ჩვენი ერის ნებისყოფის გამომხატველს დამფუძნებელ კრებას და მის აღმასრულებელ ორგანოს — რესპუბლიკის მთავრობას, მით უმეტეს ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია ზურგი გაუმაგროს ამ მთავრობის, უზომი ნდობით მოკიდოს ყოველ მის ნაბიჯებს, უდიდესი სამსახური და დახმარება გაუწიოს მას, რათა შეაძლებინოს თავისი მძიმე და პასუხსაგებ მოვალეობის პირნათლად აღსრულება.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენი რესპუბლიკის იმ ბელნიერმა ნაწილმა, რომელიც 7 ივლისს ბათომში აფრიალებულმა საქართველოს დროშამ თავის ღვიძლ დედას, თავის შოსიყვარულე მშობელის წილს დაუბრუნა!..

დიდი გონიერება და სიფხიზე პმართებს ჩვენს თანამოძე მუსლიმან ქართველობას ბათომის ილქში განსაკუთრებით დღეს. მათ აურაცხელი ტანჯვა-შტუხარება, დარბევა-აწიოკება და შფოთი განიცადეს ათას ვიგინდარათაგან ამ ორი წლის განმავლობაში.

რესპუბლიკის ლმობიერი შთავრობა, მისი მარჯვე აღმინისტრაცია დემოკრატიული მხედრობა სრულის შეიარაღებით გამჭლეროვანებულობით ფხიზელ ქომაგად სდგას მუსლიმან ქართველთა საარსებო ინტერესების საღარაჯობე.

და ჩვენმა თანამოძე მუსლიმანმა ქართველებმაც თავისი გულწრფელი და თავგამოდებული მოწადინებით ხელი უნდა შეუწყონ ბათომის ოლქის სასურველ კალაბოტში ჩაყენებას უდიდესი თვითმოქმედების გამოსაჩენად, რომ შესაძლებელი გახდეს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შიტანილი კანონის განხორციელება ავტონომიურად მოწყობის შესახებ.

14 ივლისს, როდესაც ქობულეთის სასოფლო კანცელარიის აიგანზე ბათომისა და მისი ოლქის საგანგებო კომისარი ერთს პატივცემულ მოხუც მუსლიმან ქართველს მიესალმა, ამ მოხუცმა ხელის ჩამორთმევის დროს მოახსენა: მადლობელი ვართ, რომ ათაბეგობა გაგვიახლეთ, ყვარ ყვარ ათაბეგის ხანა გაგვახსენ ეთო.

შეიძლება ათაბეგობს ხანა ტკბილ მოსავონრად იყოს ძველს მესხეთში, მაგრამ დღეს საჭიროა გვახსოვდეს თანამედროვე მდგომარეობა და სინამდვილე და ამის მიხედვით მოვექცეთ წირსულსა და აწმყოს.

ვინც თავისი ოჯახისა, თავისი კუთხისა თუ სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვას მისცემია, ვისაც გულითადი სიყვარული მოსდგამს თავისი ხალხისა და ქვეყნისა, იგი ვალდებულია სრულის ნდობით ეპყრობდეს რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც, ზღაპრული ობლის წვა-დაგვაში გამოზრდილი, ნამდვილი ღვიძლი შვილია ქართველი ერისა და მთელის სიმ-სიტკბოთი განცყოლი და გათვალისწინებული აქვს თავისი ერის ჭირ-ვარამი და კეთილდღეობა.

სიდარბაისლით განცმული ძველი მესხეთი, კვლავაც დინჯათ და დარბაისლად მოიქცევა და საშუალების მისცემს რესპუბლიკის მთავრობას, რომ ათას ვიგინდარათაგან დაკოდილი მისი გულის წყლული მსალმუნებელ მალამოთი მოაშუშოს. განახლებული დარბაისლი მესხეთი ახალ ცხოვრების პირობებში, გვწამს, წარმოშობს ახალს შოთას და ამითი შარავანდედით შემოსავს რესპუბლიკის დღევანდელს თავგანწირულს შემოქმედებითს საქმიანობას.

საუბარი ჯარის-კაცებთან.

ორი კაცი წაიჩნება ფოთში. ერთი განზე გადგა და დაიწყო ქადილი: თუ გნახე ქალაქში, შავ დღეს გაგაიცნებო.

რა თქმა უნდა, მშიშარა და გლახა იყო, თორემ თუ ფოთში ვერა დაცულო რა, ქალაქში რას უზამდა!

ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდაც სწორეთ ასეთი გამოდგა, როდესაც ამ ორი წლის წინათ სამალები ჩვენი სამშობლოს აოხრებას ცდილობდნენ.

— წამოდით ბათუმში. დავიცვათ ჩვენი ქვეყანა!

ეხვეწებოდნენ მათ ჩვენი ქვეყნის ერთგული შეილები.

— ბათუმში რა მინდა? მარა თუ ჩემ სოფელში დავინახე სამალები, იცოცხლე, მე იმათ დღე გავუმშაროვო. — უპასუხებდა ზოგიერთი საჯარისკაცი.

რა თქმა უნდა, ვინც ბათუმში შეუშინდებოდა მტერს, თავის სოფელში სულ წახდებოდა მტრის დანარჩენები,

ჩვენს ჯარში დღეს იმისთანა ლაჩრები აღარ არის და ამიტომ არის, რომ ჩვენი ჯარი ყველგან იმარჯვებს.

რამდენი რამ არ გადაგხედა ამ ორი წლის განმავლობაში. ვინ არ ცდილობდა ჩვენს აოხრებას და დალუპას. რამდენი ფრონტი ჩვენა გვქონდა!

ზოგჯერ თითქოს უფსკრულის პირას ვიდექით.

მაგრამ ჩვენმა ჯარის კაცმა ყველგან გაიმარა. ჯვა, ყველა დაამარცხა, სამშობლოც გადაარჩინა, სახელიც გაიოქა.

კარგ სახელს არასფერი ჯობია, მაგრამ მშრომელი ხალხის ერთგულის სახელი კიდევ სხვა არის.

ვინც მშრომელი ხალხის კერას იცავს, ვინც მშრომელი ხალხისთვის თავსა სდებს, მისი სახელი უკვდავია.

დღეს ჩვენი ჯარის-კაცი სწორეთ მშრომელ ხალხს იცავს და ყველა ის მტერი, ვინც თავს გვესხმის, მშრომელი ხალხის მტერია.

— ვეღარც შენი გავიგეთ რამე: ხან გვეუბნები სამშობლო უნდა დავიცვათ, ხან კი — მშრომელი ხალხი!

გინდათ, მითხრათ თქვენ.

სამშობლო და მშრომელი ხალხი დღეს ერთი და იგივეა ჩვენში:

ჩვენში ვინც სამშობლოს ემსახურება დღეს ის ამით მშრომელ ხალხს ემსახურება, ვინც მშრომელ ხალხს იცავს, ამით სამშობლოსაც იცავს.

რატომ არის ასე?

რატომ და იმიტომ რომ დღეს ჩვენში მთელი სამშობლო მშრომელი ხალხის ხელშია.

როცა თქვენ გერმანიის და ავსტრიის ფრონტზე იბრძოდით, მაშინ — მართალი თუ გინდათ — არც სამშობლოს იცავდით, არც მშრომელ ხალხს.

მაშინ იცავდით მეფესა და იმის გვარეულობას თავადებს, მდიდრებს.

ეროვნები

დღეს ჩვენში აღარც მეფეა, ბეჭედი მოვალეობის მთელი ძალა-უფლება მშრომელი ხალხის ხელშია.

დამფუძნებელი კრება არის მშრომელი ხალხისა. მთავრობა არის მშრომელი ხალხის.

სოფელში ყველაფერს აკეთებს ერობა, ქალაქში თვითმართველობა.

ორივე მშრომელი ხალხის ხელშია. მშრომელი ხალხი ნიშნავს და ირჩევს ყველგან თავის კაცებს.

მიწები ჩამოერთვა ყველას და მშრომელ ხალხს გადაეცა,

კანონის წინ ყველა გათანასწორებულია ჩვენში და მშრომელ ხალხზე მეტი უფლება არავის არავს.

ამიტომაც მთელი ჩვენი სამშობლო დღეს მშრომელი ხალხის ხელშია და ცხადია სამშობლოს ერთკული მშრომელი ხალხის ერთგულია; სამშობლოს მოლალატე მშრომელი ხალხის მოლალატეა.

დღეს ზოგიერთი პირები დაძრებიან ჯარში და ჯარის-კაცებს აბრიყვებენ: ბალშევიკებს მოვებმართ, ისინი უკეთეს საქმეს დამყარებენ ჩვენშიო,

ბალშევიკები რომ ჩვენი ხალხის მოკეთებები იყოს, თავსაც არ დაგვესხმოდნენ.

მაგრამ ჩამოვიდნენ თუ არა ბაქოში, მაშინათვე გამოექანენ ჩვენსკენ, თქვენი სისხლის დასალვრელათ.

განა ან თქვენ ან ჩვენმა მთავრობამ მისცა მათ რამე მიზეზი?

განა მეგობრობის შეტი რამე გვინდოდა მათანა?

არაფერი, ჩვენ ყოველთვის მოყვარეს ვეძებთ და არა მტერს.

როდესაც მოითხოვეს მათ ზაფი, ჩვენი მთავრობაც დასთანხმდა, თუმცა თქვენ იყავით გამარჯვებული და ისინი კი დამარცხებული.

ადერბეიჯანის თათრებს რა სიკეთე მოუტანეს ბალშევიკებმა, რომ ჩვენ მოვეტანონ?

ჰკითხეთ იმ ჯარის კაცებს, რომლებიც მათ ტყვეთ ჩაუვარდა ამ ომის დროს და ისინი გეტუვიან ყველაფერს.

ნახევარი განჯა დაქცეულია და ათასობით ხალხი გაულეტილი; მთელი სოფლები განიავებულია ზარბაზნებით.

თქვენ გვინიათ, იმათ პური და ფართალი მოუტანეს ბაქოს მშრომელ ხალხს?

ზღვითა და რკინის გზით გააქვთ ყოველის-ფერი.

ყოველივე ამას რა მოჰყა შედეგათ?

აუტანელი სიძირე.

ყველაფერი ერთი-ათათ გაძვირდა. ბალშევიკების მოსვლამდე ბაქოში შავი პური იყიდებოდა გირვანქა თორმეტ მანათათ, ახლა კი გირვანქა თხუთმეტ თუმნამდეა.

შაქარი, ფართალი, საპონი, თუთუნი,—ყოველისფერი საზღაპროთ გაძვირდა.

საწყილი თათრები! გაკეთებას ელოდნენ და თავი დაიღუპეს!

ი ამისთანა გაკეთება უნდა ჩვენი მშრომელი ხალხისა იმას, ვინც თქვენ გეუბნებიათ: უღალატეთ სამშობლოს, შემოუშვით ბალშევიკებით.

ხომ გაგიგონიათ, ქარმა რომ საბქელს დაუძახა: კარი გამიღე, ბზე უნდა შამოვიტანოვო.

— თავი დამანებე, შენი არც შემოტანილი მინდა, არც გატანილი.

ასე უთხრათ ჩვენც ბალშევიკებსა და იმათ დაქირავებულ პირებს: ჩვენ თავი დაგვანებონ და თუ ვისიმე გაბედნიერება შეუძლიანთ, უმაღლ თავისი რუსეთი გააბედნიერონ.

თურაშაულის პატნონი ტყეში ეძებდა კუნელსამ, ნათქვამია.

რუსეთს სიგძე გაუზომელი აქვს და სიგანე; ასი მილიონი მარტო მშრომელი ხალხია შიგ და, თუ კი ბალშევიკებს რისიმე აშენება შეუძლიანთ, ჯერ ამოდენა ქვეყანა ააშენონ.

თუ კი მათ ვისიმე გაბედნიება შეუძლიათ, ჯერ ამოდენა მშრომელი ხალხი გააბედნიერონ თავის ქვეყანაში.

და როდესაც დავინახავთ, რომ რუსეთში მშრომელი ხალხის ცხოვრება და ბედნიერება სდულს და გაღმოდის, ამ ჩვენ გრიგოლ ურატაძეს კიდევ ვაფრენთ მოსკოვს და შევხევწებით ბალშევიკებს: მოდით და ჩვენს ხალხსაც მოუტანეთ რუსული ბედნიერებაო. ჯარის კაცებო! ფრთხილათ იყავით. კარგათ ჩაუკირდით, რა ხდება თქვენს გარშემო. საქმე მოსთხოვეთ ყველა, საქმე, თორებ სიტყვით ხომ გაგიგონიათ,—. სხვა სხვისა მშენიაონ.

ქვეყნის მოღალატეს ლახვარი დაეცით, სამშობლოს ტკიცე და ერთგული დარაჯი იყავით და ამით შეაძლებინეთ ჩვენს მთავრობას, რომ ჩვენი მუშებისა და გლეხების საქმე მაღლ დააგვირგვინოს.

ივ. გომართელი.

დღევანდელი სინამდვილე.

V.

საქართველოს ბოლშევიკები.

საქართველოს ბოლშევიკები, როგორც ეტყობა, არაფრათ უწევენ იგარიშს იმ ზავს, რომელიც დადებული გვაქს საბჭოთა რუსეთთან და ადერბეიჯანთან. გვარწმუნებენ, რომ ისინი ვითომ მომხრე არიან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავს ანებებენ ჩვენს წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას. მაგრამ ეს არის სიტყვიერი რწმუნება.

მათი საქმიანობა კი არ ეთანხმება მათ სიტყვებს.

ჩვენმა მთავრობამ მისცა ბოლშევიკების ლიასპარეზზე გამოსვლის ნება. ბოლშევიკების გამოუშვეს გაზეთები ქართულ და რუსულ ენაზე. ცდილობდენ თავისუფალი სიტყვის საშუალებით გაეგებინებიათ ჩვენებური მუშა-გლეხებისთვის და ჯარის კაცისთვის, რომ საქართველოს მთავრობა მტერია მშრომელი ხალხისა. ნამდვილი სამოთხე, ნამდვილი სოციალიზმი იქ არისო, — ეუბნებოდენ მკითხველებს და უთითებდენ საბჭოთა რუსეთზე.

მკითხველი არ უჯერებდათ. მკითხველმა იცის, რა კეთდება ჩრდილოეთის სამეფოში. არ უნდა, რომ აქ მოვიდეს, რაც იქ არის. ბოლშევიკებმა მაღლ დაპკარგეს იმედი ამ მკითხველზე. ამიტომ გაზეთები გადააქციეს მხოლოდ თავსაფარათ და ამ თავსაფარ ქვეშ ისევ შეუდგნენ ძველ მუშაობას. დაიწყეს ისევ შიგნიდან ასაფეთქებელი მზადება. მათი მიზანია შინაური აჯანყების მოწყობა და მერე გარეშე ქვეყნიდან ჯარის მოწვევა მშრომელი ხალხის სახელით. ამ მიზნის მისაღწევათ ისინი არ ერიდებიან არც ქრისმს, არც მოსყიდვას, არც პროვოკაციას, ხარჯვენ უზომი ფულს გაჭივრებულ მუშებისა და ჯარის კაცების გადასაბირებლად. გზავნიან შუამავლებს წრეებში და უთვლიან, მაღლ რევოლუციის მტრებს სასიკვდილოთ ამოვიდებთ ნიშანში და თუ გინდათ გადარჩეთ, ახლავე შეიძინეთ ჩვენი პარტიის ბილეთებით. ტოგიერთი შეშინებული გარბის ბოლშევიკების კომიტეტში და ეწერება წევრათ, „თავგადასარჩენ“ ბილეთებს შოულობს.

გარეთაც მუშაობენ ჩვენ წინააღმდეგ. მეზობელი ქვეყნის ხალხში უნდათ სახელი გაუტეხონ ჩვენს რესპუბლიკას და ამის გულისთვის იგონებენ ათასნაირ ჭორებს. ჩვენი ჯარის კაცები, ალბათ, წაიკითხავდენ ბაქოს გაზეთებიდან გადაბეჭდილ ცნობებს ტფილისის შესახებ. იქ სწერენ, რომ ვითომც, აქ ჩვენში დახვრიტეს მუშების შიტინგის მონაწილენი 1 მაისს. ცხადია არაფერი არ ყოფილა ამის მსგავსი. ყველას აქვს თავისუფლათ შეკრების ნება, თუ კი ის შეთქმულებას და აჯანყებას არ აწყობს. ბოლშევიკებსაც ჰქონდათ ეს ნება. ყველას ეხსოვება, რომ სახელმწიფო თეატრში დანიშნეს თავის ლექცია, არავის არ დაუშლია ეს მათოვის. დიდაღლმა ხალხმა მოიყარა იმ საღამოს თავი თეატრთან. ბოლშევიკებმა თითონ გადადეს თავისი ლექცია და მათივე განცხადებით მოწვეული კრება ჩაშალეს, რადგან შეეშინდათ კამათში დამარცხებისა.

ბაქოს გაზეთებში კი ჭორები გაავრცელებს. რა უნდოდათ ამ ჭორებით? ადეილი გასაგებია, რაც უნდოდათ. თავისი ძალით, როგორც ხედავენ, ვერაფერს ხდებიან, და გარეთ ეძებენ ძალებს. ცდილობენ ჩვენ წინააღმდეგ აამხედრონ ადერბეიჯანის მუშები და გლეხები, მოამზადონ ხელახლი შეჯახება, ხელახლი მო. ერთხელ ვერ გაიმარჯვეს ომში და იმედი აქვთ, შეორეთ იქნებ გავიმარჯვო-

თო. ჩვენ ხალხს არ უნდა ომი. არაფერი აქვს სა-
დაო და გასაყოფი ადერბეიჯანის ხალხთან. ამიტომ
გაილაშქრეს ტფილისის მუშებმა ბოლშევიკური
პროკოკიის წინააღმდეგ.

კვირას, 11 ივნისს დიდი დღე იყო აქ ამის
გამო. შეიკრიბდნენ პროფესიონალური კავშირები
და საქარხნო კომიტეტები. დღის წესრიგში დააყე-
ნეს კითხვა — „ზავი აზერბეიჯანთან და ბოლშევიკე-
ბის დამოკიდებულება ჩვენთან“. მოითხოვეს შინა-
გან და საგარეო საქმეთა მინისტრები. ესენიც მი-
ვიდნენ პირველ დაძახებაზედ. კრება შეეკითხა: რა
ნიადაგზე სდგას ჩვენი ზავი რუსეთ-აზერბეიჯანთან
და რას აკეთებენ ადგილობრივი ბოლშევიკებით.
გეგმების და რამიშვილმა ვრცელ სიტყვებში პა-
სუხი მისცეს აღელვებულ მუშებს. დაარწმუნეს
მსმენელები, რომ ბოლშევიკები მუშაობენ აქ ფა-
რულად დამოკრატიული რესპუბლიკის ასაფეთქებ-
ლათ. კრებაზე იყო თრიოდე ბოლშევიკი. ერთი
მათგანი ცდილობდა თავისი აზრების გატარებას.
დაინახა, რომ გასავალი არ ექნებოდა მის სიტყვებს
და წავიდა კრებიდან.

ილაპარაკეს პროფესიონალური კავშირების
წარმომადგენლებმა. ბოლოს ერთხმად მიიღეს რე-
ზოლიურია. გაზეთში იყო მოთავსებული ეს რე-
ზოლიურია და ყველაფერი, რაც ითქვა იმ დღეს.
აღმოჩნდა, რომ ჩვენი მუშათა კლასი ძალიან შორის
არის ბოლშევიკებისგან. აქ არ ჰყავთ მომხრეები
ბოლშევიკებს, მათი გაზეთები მეორე დღეს მანც
უსირცხვილოთ სწერდნენ. — ქართველი მუშები ჩვენ-
სკენ არიანო.

პატიოსნება არ მოეკითხება ამისთანა პარტიას.
ის ყველაფერს ჩაიდენს თავისი ბოროტი განძრა-
ხვის ასასრულებლათ. ჯერ უხვად გაუმასპინძლდე-
ბიან ყველას, ვინც გადავა მის ბანაქში, მერე რო-
ცა ხელში ჩაიგდებს ძალა-უფლებას, აქც აუტა-
ნელ სიძეირეს და შიმშილობას შემოგვიტანს. შეი-
ძლება არიან ჩვენში ისეთები, ვინც ვერ უძლებენ
დღევანდელ გაჭირვებას და ეგებიან ბოლშევიკურ
ან კესზე, ესენი ალბად, ხვალინდელ დღეს ვერ ხე-
დავენ, მარტო სადღეისოთ ფიქრობენ კუჭის ამო-
სებას.. ბოლშევიკური მაცდური ამათ ეუბნება, თუ
მიწამებ, ჩემ წინ დაიჩოქებ — არაფერი არ მოგაკ-
ლდებათ. ასე შეაცდინეს პირველათ რუსეთში, და
ახლა ვიცით, აკლია თუ არა ცხოვრების საღასარი
იქაურ მშრომელ ხალხს. ბოლშევიკები დღეს შე-
გვპირდებიან გაბენიერებას, ხვალ კი გაჭირვების
ჯოჯოხეთში ჩაგვაგდებენ.

ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ კარგათ უნდა ვიც-
ნოდეთ ბოლშევიკების სამეფოს. საჭიროა წისვლა
და ნახვა, რა ხდება იქ. საჭირო იქნება აქაური
მუშათა წარმომადგენლების გაგზავნა ადერბეიჯანში
და რუსეთში. ნახონ რა არის იქ გაკეთებული და
დაანახვონ რა გაკეთდა აქ. ამავე მიზნით ჩვენმა
მუშებმა უნდა მოიწვიონ საქართველოში რუსეთის
და ადერბეიჯანის მუშა-კლეხები.

ასე ერთი მეორის გაცნობით გაიწმინდება
ჰაირი, გაითანტება უნდობლებული კულტურული
ქვეყნის მშრომელი ხალხი და აზერბაიჯანის მა-
ნეთის. მაშინ ბოლშევიკები ველარავერს განდებიან.
უნაყოფოთ ჩაივლის მაშინ მათი პროვოკაცია და
მათი ხელით ჩვენ წინააღმდეგ მომზადებული ასა-
ფეთქებელი მასალა ისევ მათ ააფეთქებს, სხვას
არავის.

ს. დევდარიანი.

კომუნისტი ქანდარმი

(მცირე შენიშვნა).

„ერთობის“ 155 ნომერში ბაქოს „კომუნის-
ტიდან“ ამხ. ვინ.-ს მოჰყავს ერთი ადგალი წითელ-
ხიდის ფრონტის შესახებ, სადაც ბაქოელი ბალშე-
ვიკები ჩეენს გვარდიაზე ამბობენ, რომ ის „შემდგა-
რია ძველი უნდარმებისა, ჩინუნიკებისა და ნაძი-
რალი ყაჩალებისაგან“ — თ.

ამ სიტყვების ამოკითხვამ უმალვე გამახსენა
თქმულება: ჩემი შენ გითხარი და გული მოგიყა-
ლოო. გამახსენდა აგრეთვე ერთი შეხვედრა.

26 მაისს სოჭ. შიხილოში, სოფლის სკოლის
შენობაში შეეხვდით ერთმანეთს საქანტროლო კო-
მისის წევრები ს კაცი, სამ სამი ორივე მხარედან
იმ ზომების გამოსამუშავებლათ, თუ როგორ უნდა
გვედებინა თვალყური ნეიტრალურ ზონაში
დროებითი პირობების დაცვისათვის. იქვე მოვიყვა-
ნეთ თითო ასეული ამ საქმისათვის. კრება გახსინ-
დი გვქონდა, როცა ჩვენი „პოსტიდან“. გვარდიე-
ლი მოვიდა (ჩვენი ჯარი და „პოსტიდი ჯერ კიდევ
არ იყო მოხსილი და კავებული ტერიტორიიდან)
და მითხრა: პოსტზე ორი წითელი აფიცერი მო-
ვიდა და ითხოვეს გამოუშვათ აქ თქვენთან კრე-
ბაზეო. ჩვენ ვუთხარით, არაფერი გვაქვს საწინააღ-
მდევოვო. ცოტა ხანს შემდეგ ისინიც მო-
ვიდენ. ერთი მათგანი აღმოჩნდა „წითლების“ ბა-
ტარეის უფროსი თფილისელი ვოლკოვი, რომელ-
საც თფილისში დები და დედა ჰყოლოდა და იქ
წასვლა სწყუროდა (შვილი წელია არ მინახავს).
ის არ მაღავდა, რომ კომუნისტი შემთხვევით უყო-
და საზოგადო ყველაფერზე გულახდილათ გველ-
პარაკებოდა. სამაგიეროთ ძალიან ჩუმათ იყო მეო-
რე, რომელმაც გაცნობის დროს რაღაც გვარი წა-
ლულოულა. ამავე დროს ძალიან ყურს უგდებდა
ჩვენს ლაპარაკს და უსიტყვით, თავის ქნევით გვე-
თანხმებოდა ყველაფერზე. კომისიის სხდომის გათა-
ვების შემდეგ, მანამ ოქმებს გადაწერდენ, ჩვენ კი-
დევ გავერთეთ ლაპარაკში. ერთი ყვირილელი გვარ-
დიელი, ამხ. ფერაძე ისეთივე ინტერესით უსტერდა
იმ ჩუმ კომუნისტს როგორითაც ის ჩვენ გვათვა-

ლიერებდა. ბოლოს ფერაძემ შიახედა ის თავისკენ და ჰეთხა:

— ამხანგო, თქვენ წინათ ქუთაისში ხომ არ გიცხოვრიათ?

— არა, ქუთაისში მე არასოდეს არ მიცხოვრია.

— როგორ არა, მე თქვენ გხედავდათ ხოლო ქუთაისში.

— რომელ წელში?

— აღრე რევოლუციამდე. თქვენ ნასკოვი არა ხართ გვარათ?

— არა, მე ნასკოვი არა ვარ... მგავს კი მე... ნასკოვი... ხო, მე იმას ვიცნობ, ის მე ძალიანა მგავს.

— მაში, მე არ შემცდარვარ; თქვენ ქუთაისში მინახებართ... რა ადგილი გეპირათ იქ?

— მე... მე იქ ჯარში ვმსახურობდი, ფელდებელი ვიყავი და სხვა.

მათ კიდევ გააგრძელეს ლაპარაკი. ჩვენ კი მიგვაძრუნეს მღივნებმა და უკვე გადაწერილი ოქმი წაგვიკითხეს. ვე სულ დამავიწყდა ამხ. ფერაძისა და წითელ აფიცრის საინტერესო მუსაიფი. მომავონდა მხოლოდ მაშინ, როცა აფიცრები უკვე წასულიყვნენ. ფერაძემ მომავონა ეს გვარი. ან უამისონდაც როგორ ვერ მოვიგონე--ვინ იყო ნასკოვი. მისი სახელი ხომ ქუთაისის გუბერნიის უკველა რევოლუციონერს ჰქონდა გაგონილი. რამდენი ამხანაგი გამგზავრებული ციხეში, ციმბირში და სახინდებლა-ზეც მისი წყალობით; რამდენი ციხეშიც არ მიუყვანია სიმონა ეანდარმს! სიმონა ეანდარმი! განაცოტა ბალშევიკის ოჯახი აუწიოკებია მას ქუთაისში? და ეხლა ეს სიმონა კომუნისტია. მე პირადათ არ ვიცნობდი მას. შევხდი მხოლოდ ერთხელ, როცა (რევოლუციის პირველ თვეებში) ფრონტიდან ჩამოიყვანეს დაჭრილი (ის სხვა ეანდარმებთან ერთად რევოლუციის მეორე დღესვე წასულიყო ურონტზე) შემდეგ ტყვეობიდან გაანთავისუფლეს და ისევ ფრონტზე გაგზავნეს. იქიდან კომუნისტად მოვლენია რუსეთს, შემდეგ აღერბეიჯანს, საიდანაც ქუთაისში მოდიოდა სოციალიზმის დასამყარებლად. ისევ ისე ჩასუქებულია: ეტყობა იქაც მარჯვეთ მოქმედობს, რომ სხვა წითელ არმიელები ვით არ ჩამომხმარა და არ ჩაყვითლებულა.

ეს ამბავი მე უთხარი ერთ კომისიის წევრს, რომელმაც გულგრილათ მომისმინა. მე ეჭვი შემივიდა და ვკითხე:

— დიდი ხანია ამხანაგო რაც შენ კომუნისტების პარტიაში მუშაობი? — მან ისევ გულგრილი მიპასუხა:

— არც ეხლა ვარ კომუნისტი.

— მაში, როგორ მოხვდი მათი გუნდის უფროსათ?

— ჯარში ვიყავი. ჯარი გაბალშევიკდა. მეც ბალშევიკი გავხდი.

— კი, მაგრამ მაგ გულზე რომ წითელ ნიშანს

ატარებ და ზედ რომ დაგიწერია „პოლეტარები უკველა ქვეყნისა შეერთდ თომერი გარეული მინისანია, ტყვიისმფრქვეველი წავაროვი მტერს და მოცეს, ზედ რა სწერია რა მენავლება.

შემდეგ ორივე ამბავი ცუაშე ერთ წითელ არმიელს, გულწრფელ მუშას — მეჩემებს, რომელმაც გულისტკივილით მითხრა: „მაგისთანები ბევრი არიან ჩვენში და ჩვენი უბედურებაც ეგაა“ - ღ.

ეხლა კი ბალშევიკები გამოღმა გვედავებიან და ჩვენს გვარდიელებს უძახიან „ეანდარმებს“. დიახ, ჩემი შენ გთხარი გული მოგიყალიო,

ნეიტრალურ ზონაში არსებულ შერეულ კომისიის ყოფილი წევრი ზ. გურული.

პვირფასო ამხანაგო პიროვო!

შედარებით არც ისე ღიღი ხანია, რაც თქვენ დაგშორდით ჩვენი კარტო ცხოვრების ერთ მდგომარეობაში — ვიყავით საზოგადო ბინაზე, მეტად ცუდ ლოგინზე და ცუდი სადილით, რომელსაც ვაზავებდით კალმიკური ჩით და იმავე დროს არც თუ ისე სახარბევლო იყო საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა. ეხლა კი ერთიც და მეორეც შეიცვალა...

ვინაიდან სხვებთან ერთად თქვენც ხელს უწყობდით ჩემს განთავისუფლებას და ვინაიდან თქვენი და მეხანომინის წყალობით მე დავთანხმდი დავრჩენილიყავ ასტრახანში და მიმელო ვა დივიზიის არტილერია, რომელსაც შემდეგ ეწყდა უბანის არტილერია, თქვენთვის არ იქნება ინტერეს მოკლებული იცოდეთ, როგორ შეჭირა თავი და რით გავამართლე თქვენი ნდობა. არ ვიტრაბახებ, მარა გეტიკით, რომ უკანასკნელად ჩემი ღიგიზის არტილერია იყო უფრო დიდი და უფრო მრისხანე, ვინემ არტილერია სხვა მთელი არმიებისა, მაგალითად მეცხრე არმიისა, საღაც ბატარები იყო უფრო მცირე, ვინემ ჩემს ღივიზიაში. შე არ მიმიღია ცენტრიდან არც ერთი ზარბაზანი, არც ერთი ცხენი და იარაღების სათადარივო ნაწილები, მარა მინც შევსძლი შექმნა 15 ბატარეიისა, ნაცვლათ იმ დომხალისა (ბარახლა), რომელიც წამოვიდეთ ასტრახანიდან. მთავარი მომწოდებელი საარტილერიო ქონებისა იყო ჩემთვის „ამხანაგი დენიკინი“, რომელიც უხვად მიტოვებდა, როგორც არტილერიას, ისე ცხენებს. მიუხედავა იმისა, რომ თითქმის ყველა ჩემს ბატარეებს მოუხდა კარტებით სროლა და რევოლუციებით თავის დაცვა, მარა „ამხ. დენიკინმა“ მაინც ჩემგან ვერც ერთი ზარბაზანი ვერ მიიღო. კადეტების პირველი ტანკი, რომელიც საბჭოთა რუსეთმა დაამარცა ქ. ლისკანი, იყო განადგურებული ჩემი არტილერიის



საქართველოს მთაწყვეტილობის ქართველი მაჰმადინები

ვუძღვი ქართველ მაჰმადიანთ,
საქართველოს და ქართული ენის და
მწერლობის მოყვარე მამულიშვილებს

(ისტორიული სახელები)

ჩიერ. მრავალჯერ ჩემი არტილერია ალყა-შემორ-
ტყმული იყო, და სამუხაროთ, როცა ქვეითი ჯა-
რები (უმეტესათ ხლად გაწვეულები) ნებდებოდენ
მტერს, მე კრჩებოდი მარტო, მარა არტილერია
მაინც უვნებლათ გამოდიოდა ბრძოლიდან. ერთ-
ხელ მე მომიხდა ბრძოლა მტრის 24 ბატარეიასთან
(ქ. ბობროვთან, ლიპოვკიდან მეოთხე სოფელი),
როცა თვით დენიკინის ხელმძღვანელობით ევქს-
ჯერ გვეკვეთა იერიშით კავალერია, მაგრამ ჩვენმა
დივიზიამ შეირჩინა პოზიციები, თუმცა დიდი ზარა-
ლი ვნახეთ (ზოგიერთმა პოლკმა დაკარგეს 1000
კაცამდე მოკლული და დაჭრილები ერთ დღეში).
ივნისის პირველ რიცხვიდან მე მივიღე წარმატება
და ეხლა მეთერთმეტე არმიის არტილერიის ინს-
პექტორი ვარ, ასე რომ, ამხანაგო კიროვო, რო-
ცა თქვენ გაიგონებთ საბჭოთა ზარბაზნის პირველ
გრიალს, ამ სროლით მე თქვენ მოგესალმებით. მე
ვდებულობდი მონაწილეობას ჩემი არტილერიით
როსტოვის, ეკატერინოდარის და ნოვოროსისკის
აღებაში, მაგრამ განსაკუთრებულ სიამონებას ვიგ-
რძნობ როცა შეუდგებით თფილისის აღებას. მე
ძალიან მინდა შემოვიდე ავტომობილით (ძველ ავტო-
მობილით, სატრახანელ ავტომობილით) სწორეთ
იმ ქალაქში, სადაც მე, როგორც ძალლების მიერ
დევნილი მგელი, ყოველ საღამოს და ღამით ვპრუ-
დებოდი სახლში. მე მინდა კუთხრა სხვადასხვა
რამიშვილს, საბახტარიშვილს, გვაზაგას, მესხი-
შვილს, გენერალ კონიევს და სხვა „სეოლოჩებს“:
„ჩემო მეგობრებო, როცა თქვენ მიმიღეთ და გამ-
ძარცეთ, როგორც ბოლშევიკი, მე არ ვიყავი ასე-
თი, ეხლა კი მე რწმენით კომუნისტი ვარ და მო-
დით, მოვილაპარაკოთ თქვენს სიყვარულზე საბჭო-
თა რუსეთისადმი, რაზედაც თქვენ ხმა მაღლა ყვი-
რით თქვენს გაზეთებში“.

მიიღეთ ჩემი რჩევა ამხანაგო კიროვო — არ
ენდოთ ქართველებს, რომლებიც უმრავლეს შემ-
თხვევაში ჩვენთან ხელი-ხელ ჩაკიდებული არასო-
დეს არ წამოვლენ ქართველი თავადები და აზნა-
ურები უბრძოლეველად არ დასტოვებენ თავიანთ
პოზიციებს.

ჯერ კი გართმევთ ხელს. სხვათა შორის, ფუ-
ლები, რომელიც მე გამოვაზავნე მეხანოშინის ხე-
ლით, ხოლო მას კი, ვგონებ, დაუვალებია ეს
თქვენთვის, ჯერაც არ მიუღიათ. მე ოჯახზე ჯე-
რაც არ მაქვს ცნობები, თუმცა ამას წინეთ გამოვ-
გზავნე ერთი ნაცნობი ქალი ფულებით. თუ შეიძ-
ლება გამიგეთ ოჯახის შესახებ: მიხეილის პროს-
პექტი, 53, ბინა 6. ქ. სმირნესკაიას.

თქვენი ა. სმირნესკი.

ქართველი (გურჯი) ისმაილ ხოჯა ხალიფა-
შვილი, ისმაილ ალიფაშვილის დაბადება ეკუთვ-
ნის XVIII საუკუნის ბოლოს, მერის ხეობაზე (აქა-
რის ნაწილია) სოფ. სამხარში, იგი აღიზარდა აჭა-
რის, სწავლობდა ქედის სასულიერო სასწავლებელ-
ში, მერე გაგზავნეს სტამბოლს. აქ მან მიიღო სა-
სულიერო განათლება ოსმალურ და არაბულს
ენებზე, იგი იყო მახვილ გონიერი მოწაფე და ოს-
მალურსა და არაბულს ენასთან ერთათ იყო ქარ-
თული ენის დიდი პატივისმცემელი და მოტრფია-
ლე, თუმცა მის დროს, ქართველ მაჰმადიანებს სასტრ-
კათ ქონდათ აკრძალული ქართული ენა და ქართუ-
ლი წერა-კითხვისა ხომ მათში ჭავანებაც არ იყო.

მიუხედავათ ასეთის ბორკილის და სისასტიკის,
ისმაილ ხოჯა თავის დედაენას მაინც არ ივიწყებდა
და შინ თუ გარეთ, ქართველ მამადიან ებთან შევე-
დრის დროს სულ ქართულათ ლაპარაკობდა. მიუ-
ხედავათ ასეთის მოქმედებისა და ქართული ენის
პატივისცემს, იგი ოსმალურსა და არაბულს ენა-
ზედაც სასულიერო სწავლისა და „ყურანის შესწავ-
ლისა და გარჩევაშიაც საქმარისათ მიღიღდა წინ,
ჯამეში ქადაგების დროს, „ყურანის“ ასნაში დიდი
ნიჭიერებას იჩენდა, ამით მან მოიპოვა დიდი სახე-
ლოვნება და ისევ ახალგაზრდა იყო, რომ ჯერ კონ-
სტანტინებოლის, ყოლით იქმნა დაღვენილი და მის
შერე გახდა სტამბოლის მუფთიც.

ისმაილ ხოჯას საქმე ისე კარგათ წაუგიდა,
რომ იგი ერთ დროს, მთელის ოსმალეთის სასუ-
ლიერო წოდებისაგან შეიხულისლამითაც იქმნი-
დანიშნული. ასეთს დიდ თანამდებობას, ისმაილ
ხალიფაშვილი დიდად უფრთხილდებოდა და მოქმე-
დებდა ისე კარგათ და სამართლიანათ, რომ ამით
მან თავი შეაცვალა როგორც ისლამის სასულიერო
წოდებას, ისე ხალხს და თვით იმ დროის სულ-
თან მაკმუდსაც, თავის კეთილ მოქმედებასთან ერ-
თათ ისმაილი მიღრეკილებას იჩენდა ქართული ენის
წინაშე და თავის ტანამემაშულე ხოჯებსა და მო-
ლების წინაშე ლაპარაკობდა თავისუფლათ ასე:

ხალხნ და ძმებო, ჩვენ გურჯები ვართ, ჩვენ
არც ისმალებნი ვართ და არც არაბი. ჩვენი ენა
ქართული ენა არის და არა ოსმალური, ჩვენი წერა-
კითხვაც სხვა არის და არა არაბულ-ოსმალური,
ჩვენს ჯამეებში ჩვენს ენაზე უნდა იყოს ლოცვა და
ქადაგება ქართული და არა ოსმალური-არაბულს
ენაზე, ამ ენებზე ჩვენ გურჯებს სულ არავერი
ესმით, ამიტომ ცოდვა არის ჩვენი გურჯისტანის
ხალხი.

ამ მცნებისა და შეგნების ხოჯები და მოლები
მან ქართველ მამადიანებში მრავლათ იპოვნა. ასეთ
პირთა პოვნით და გაცნობით იგი უფრო დაწინა-
ურდა და უფრო გაორკეცდა ქართული ენის პატი-
ვისცემა. ისმაილ ხოჯა ამისთვის შოემზადა კარ-
გათ, ერთ დღეს სტამბოლის ხოჯების დახმარებით



მეჩეთისაკენ, ბათუმის ტიპებიდან.

სულთან მაჰმუდს მიმართა და უთხრა შემდეგი:

„ჩვენ გურჯები ვართ, ჩვენი ენა სხვა არის და ამიტომ ჩვენს ხალხს „ყურანის“ მოძღვრებისა სულ არასფერო ესმის, გვებოძოს ნება, რომ ჩვენს ჯამეებში ხოჯებმა და მოლებმა ხალხი თავის ენაზედ ალოცონ და „ყურანიც“ ჩვენს ენაზედ აუხსნან მათ. რომ ხალხმა შეიტყოს დიდებული სწავლა მუქამედისა“. სულთანი დაფიქრდა ამაზე და შემდეგ ისმაილს ხალიფაშვილს ნება დართო, რომ გურჯისტანის ჯამეებში, ლოცვა და ქადაგება ქართულათ იქმნეს მოხსენებულით. ეს იყო პირველი მაგალითი ისმაილს მთავრობისაგან.

ისმაილ ხალიფაშვილი მალე შეუდგა ამის სამზადის და დაიწყო მეცადინეობა ქართულათ.

მაგრამ როგორ და რა გვარ, როცა მან ქართულ ლაპარაკთან ერთათ ქართული წერა კითხვა კი არ იცოდა. ბევრი მეცადინეობის შემდეგ მან დაიწყო „ყურანის“ სწავლის ქართულს ენაზე დაწერვა,

მაგრამ ქართულ ანბანით კი არა, არამედ არაბულის ასოებით, ანბანი არაბული იყო და სიტყვები კი ქართელი. ამ გვართ მარტინო, ყურანის „სწავლა დაწერა ქართულს უძინეს უძინეს და წიგნი შეამუშავა და ბოლოს იგი რამდენსამე ცალათ გადააწერინა და თითო ცალი ამ ხელნაწერი წიგნებისა ისმალოს საქართველოში მყოფ ყველა მუფთებს გამოუგზავნა და თან მოსწერა შემდეგი დავალება და დადგენილება:

„დღეს შემდეგ, ჩვენს ჯამეებში, ჩვენმა ხოჯებმა და მოლებმა ისმალურათ და არაბულით ლოცვების თქმას თავი დაანებონ და როგორც ი ამ წიგნში სწერია, მათ ასე იქადაგონ და ალოცონ ხალხი ჯამეში. ეს იყოს მათი სალოცავი სარკე, არც მეტი არც ნაკლები. ამას მეტის ისინი 1 ხვას ნურას იტყვიან თავიანთსას ნურასფერლს მოუმატებენ“. მუფთმა ეს დავალება შეისმინა, გასცა საერთოთ ეს ახლათ დაწერილი ქართული წიგნები და ხოჯებსაც ეუწყათ შეიხულისლამის ბრძანება. ამიტომ ხოჯები მიეცნენ ამის ფიქრს და მალე დაიწყეს ქართულ წიგნის თავთანთვის გადაწერვა. მოკლე დროის განმავლობაში იგი მრავლათ იქმნა გადაწერილი და ამას მართლაც მოჰყვა ქართველ ენაზე ქადაქება.

ასე გაგრძელდა კარგახანს და საქართველოში ყველაგან ჯამეებში ქართული ენა გაისმოდა არაბულის და ისმალურ სანაცვალოთ. ქართული ენის ქადაგებამ 1850 წლამდის გასტანა ამ დროს რუსეთისა და ისმალოს ოში ასტუდა.

ამ დროს ისმალო ფონატიქმა და საქართველოს მტერმა ხოჯებმა და მოლებმა ისარგებლეს, რომელთაც ქართული ენა ჭირივით სძულდათ, ასეთებში ერივნენ თვით ქართველის გვარის ხოჯებიც, ამათ იგუმაკეს და მიმართეთ ასეთის თხოვნით ისმალოს მთავრობას:

„ჩვენს ჯამეებში. ჩვენს ხალხს ჩვენ ვალოცებთ და ვუქადაგებთ ქართულათ. ამბობენ, რომ ჩვენს ჭვეუანაში რუსები უსათუოდ შემოვლენ, ისინი დაგვიჭრენ და ჩვენ მაშინ შიში მოგველის, გვეტყვიან, რომ რაღვანაც ჯამეში ქართულათ ასრულებთ წესებს, ეს იმის ნიშანია, რომ თქვენ ქართველები ხართ და ამიტომ ჩვენც ყველას გავაკართველებენ. ამიტომ გთხოვთ, რომ ეს ბრძანება იქნეს გამოცემული შეიხულისლამისაგან, რომ ჯამეებში ქართული ენა და ქართული წიგნებიც სულ მოისპოს



ილერბ მწიფანის ტურეთიში და.



მ ს ე დ ა რ ი
გ ა ფ ი რ ი რ ა ვ ა ლ ი

იგინივე სამი დღის შემდეგ.

და გაქტეს, რომ ამით ჩვენ აგვცდეს ხიფათი და არ დავიღუპნეთ სულ".

მართლაც 1850 წ. გამოსულა ბრძანება სამუ-
სულმანი საქართველოში; რომ დღეის შემდეგ
ჯამეში ქართული ენა და წიგნები მოსაპობილი იქ-
ნეს და მის მაგიერ შეტანილი იქნეს არაბული
ლოცვების და „ყურანის“ კითხვა და ოსმალურის
ენით ქადაგება ქართული ენის ნაცვლათო. ეს ბრ-
ძანება ქართველმა სასულიერო წოდებამ ხელზე
დაიხვია, მალე განაცხადეს საქვეყნოთ და მაშინათვე
დაუწყეს ისმაილ ხალიფაშვილის წიგნების ხევა
და მოსპობა. ერთი წლის განმავლობაში ისე მოს-
ვეს ეს ხელთნაწერი წიგნები და ჯამეშიაც ისე
დაამხეს ქართული ენა, რომ 1852 წლიდან ქარ-
თული ენა აღარსად იხმარებოდა.

მოხდა ისიც, რომ არაც თუ ამ წიგნებს და
ქართულ ენას გმობა და მოსპობა დაუწყეს, არამედ
ძაგება, შეძულება და ბევრიც სხვა შეჩვენებანი იმ
პირებს, ვინც ქართულს ენაზე ჯამეში ლოცვას ჰქი-
არა და ას თუნდ ქართულათ ლაპარაკს გავტედავდა
ამ გვარით ქართველ მამადინანებში ქართული ენა
დაემხო სტულიად 1854 წლამდის ამ დროს რმი
გათავდა, რუსეთშა ისმალეთის საქართველოს ვერას-
ფერი აღილები ვერ აიღო, ყოველივე ისმალის
საკუთრებათ დარჩა და იმასთან ქართული ენაც დამ-
ხმილ იქნა ამ თმის ატების გამო.

ჩემი მგზავრობის დროს, ბევრს ვეცადე,
რომ ისმაილ ხალიფაშვილისაგან დაწერილი თუნდა
ერთი ქართული წიგნი მენახა და გამეცნო. მაჭა
ხელში მის კვალსაც მივაგნე, დამპირდნენ მოტანას
ჩვენებას, მაგრამ ლოდინი ლოდინათ დამირ-
ჩა და ვგონებთ მოლების და ხოჯების შიშით
არ გამოაჩინეს. ასე და ამ გვარით, დაემხო და დაი-
კარგა ისმაილ ხალიფაშვილის ამაგი ქართული ენის
წინაშე. ეს ამბავი შევკრიბე და დავწერ 1891 წ.

ზ. ჭიჭინაძე.

ჰ რ ს პ ი ტ ა ლ გ ა ი

სურათი ერთ მოქმედებათ).

მ ო მ გ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

- | | | |
|--------------|---------------|---------------|
| 1. იუსტინე | ჯარის-კაცები | 6. გლეხი |
| 2. შაქრო | | 7. ექიმი |
| 3. თედუა | | 8. მოწყალე და |
| 4. ალმასხანი | იუსტინეს დელ- | 9. ორ მსახური |
| 5. მზახო | მამა | |

მოქმედება სწარმოებს ჰოსპიტლის ერთ-ერთ
ოთახში, რომელსაც აქვს მარჯვნივ და მარცხნივ
კარები, წინ სამი ფანჯარა. ოთახში სდგას რამო-
დნენამე საწოლი, ზოგ მათგანზე იკადმყოფი ჯარის-
კაცები წვანან.

გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი.

(იუსტინე, შაქრო და თედუა).

იუსტინე: (მწუხარე ხმით) ვაი დედა, მოკვდი,
მიშველეთ, თავი. ვაი დედა, სად მყევხარ, დევიწვი
დედა!

შაქრო: (სუსტი ხმით) სად არიან ეგ ოჯახ-
დაქცეულები რომ აღარ გვეკარებიან (დგება ბარ-
ბაცით, მიღის, ტილოს ასველებს და იუსტინეს
თავზე ადებს).

იუსტინე: უი, შენი დედ-მამა ცხონდა, შენმა
ხელებმა გეიხარა ქიარ მოვრჩი კაცი... ვაი, ვაი წე-
ლი, წელი!

თედუა: (იდგება და ხალათ ჩატული და-
დის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე რ ე.

(იგივინე და მსახურნი),

მსახურნი: (შემორბიან სიცილით. ვაჟი მოს-
დევს ქალს და ხელიდან ართმევს რაღაცა ნივთს,
ქალი არ ანებებს)

ვაჟი: მომეცი მეთქი, მომეცი, თორემ სულ-
ერთია არ მოგშორდები (ეჭიდება).

ქალი: (სიცილით) მამაჩემის სული არ წამიწყდეს და ჩემი ქრისტები დევიკავო პირში, თუ დაგანებო. რუჟუყვი ჩემი ბეჭედი, სომიტანე და მოგცებ.

იუსტინე: ვაი დედა, თავი გამისკდა!..

შაქრო: არ გესმით თქვენ! კაცი აქ სიცილ კვდება და თქვენ რას სჩადიხართ, ამისთვის ხართ აქ რომ იმასხაროთ?!

ქალი: არა, თქვენ გადაგყობით თან თქვენშა სიცილის. (გადის. ვაჟი ისევ ხელში სწვდება და ორივენი სიცილ-ხარხარით გადიან).

თედუა: (მორიდებით იხდის საკუთარ შარვალს და ბალიშის ქვეშ მალავს).

შაქრო: შენა, ძმობილო, ძლიერ მოუხშირე გაპარვისა და სადღაც დაგიჭირებ.

თედუა: შენ არხეინათ იყავ, თუ დამინახონ, დაშიჭირონ. რაკი აქედან გავძვრები, გონი ეშმაკი ვერ მიპოვის.

შაქრო: მე არხეინათ ვიქნები, მაგრამ არ ვარ-და მაგრე ღლებითობა, შენ ჩევნ სახელს გვიფუჭ-კებ, მთელს ჯარის-კაცებს, შე კი კაცო. ეხლა არა-ფერი მტკიცოდეს და აქ დავწვე, როცა მთელს სამშობლას იჩეკლავ მტერა არტყა, არ გცევენაა? იქ ჩევნი ძები თხრილებში ყრიან და შენ მაგო-ტელა ვაჟაცი აქ ბალივით იმალები. ვაიმე... ვაიმე... მე კი შენს მაგივრათ მრცვენია და რო-გორც გინდა ისე სოქვი.

თედუა: შენ ვინა გყითხავს, შენ შენი თავი გძიე, სხის საქმეში ნუ ერევი.

იუსტინე: რავა, ტყუილს გეუბნება, თუ?

თედუა: ერთი შენც აჲყევ, თორემ ესაა აქე-ლან გამაგდებენ რაღა (წვება).

გა მოსვლა მესამე.

იგივინე და მოწყალე და.

მოწყალე და: (შემოდის თეთრი ხალათით თან მთაქეს სიცის საზომი და აქნევს, მიდის იუსტინესან) როგორ ხარ? სიცხე გაქვს? არ გიკლო? (უკეთებს სიცის საზომს).

იუსტინე: საღაა, მერე, სესტრა, წუხელი თუ გამოვათევდი არ მეგონა, კინაღამ დევიწვი ს. ც-ხით.

მოწყ. და: ნუ გეშინია მორჩები. დღეს კიდე ახალ წამლებს გამოგიწერს ექიმი.

იუსტინე: ღმერთია იძედი ნუ მოგიშალოს, ბატონო. სესტრა, კიდე გავგზავნოთ დღეს ტელუ-გრამა, ეგება არ მიუღიათ ის, თვარა სად აოი - ამდეხანს.

მოწყ. და: ჯერ არ ეუდროება, მოვლენ (შაქროს). შენ როგორ ხარ?

შაქრო: რა მიშავს, შენი ჭირიმე, აღარაფერი მტკივა, საღათა ვარ. სესტრიქა, უთხარ ეხლა ექიმს გამწეროს. აქ უფრო ივათ ვხდები.

მოწყ. და: ჯერ როგორ შეიძლება შენი გაშვება; ძლიერ სუსტად ხარ.

(გამოუღებს სასინჯს იუსტინეს) ტრადატ დევიატ ი სემ:

(სწერს ქალალდზე, მერმელ უკეთებს მაგილის, მიღის მაგილასთან, იღებს წამლებს და შირვან. სუსტინეს მისცემს).

იუსტინე: წარეა, ბატონო.

მოწყ. და: არა-უშავს რა, დალიე და სიცხეს დაგიკლებს. (ასმევს. მერმე შაქროს ასმევს, თან სიცხის საზომს გამოუღებს იღლიიდან). ტრიდცა შესტ ი დვა (უწერს ქალალდზე).

გა მოსვლა მესამე.

იგინივე და ორი მსახური ქალი.

1-მსახ: რეიქნა ამის პორცია გუშინ და დღეს ვინ წევიღო? (ჩხუბით).

2-მსახ: მე რა ვიცი, მე რომ მომღვომიხარ.

1-მსახ: ღმერთო ნუ შემშლი, აბა ვის ვკითხო შენ არ არიგებდი დღეს დაგუშინ?!

2-მსახ: (გაჯავრებული) შენ ეს მეორეთ არი, რომ ასე ღმერთი, მარა შენისთანა ქურდობა და კახვის არ ვის შეუძლია შემწამოს. შენ არ იყავი გუშინ-წინ „გლაზნიაიდან“ რომ გამოიტანებური და შაქარი!

1-მსახ: ა მოდი და უყურე ახლა ამ ღვთის გლახას, შენ რაებს ბოდავ! არ მათქმით თვარა გამოგანიჭევ შე უბედურო, მთელს ლაზარეთში, გა-მოგანიჭევ!

2-მსახ: გიცნობენ, გიცნობენ რაც შეიღი ხარ, მთელი ღამე სანიტრების ოთახში აღგიხარ, ერთხელ დაგინახე თუ რამდონჯერ.

1-მსახ: (გაჯავრებული მიიწევს მისაკენ) შე ქვეყნის ნათრეო შენ, ვის უბედავ მავისთანა სიც-ყვებს, შე წუბაკ შენ!

მოწყ. და კარგი ეხლა, რომ არაფერი გითხრით აღარ გაჩუმდებით, აღარ გერიდებათ ივაღმყოფების, გადით, გადით აქედან და გარეთ რაც გინდოდეთ ის ქენით. (გადიან ორივე ჩხუბით) საიდან მოიყარა მაინც ამოღენმა ოხერმა თავი, მთელი დღე და ღამეს ასე ჩხუბში ატარებენ და ტყვი-ლა იღებენ ჯამაგირს.

გა მოსვლა მესამე.

იგინივე და ექიმი.

ექიმი: (ხალათს იცმევს. მოწყალე დას) რომელია სიცხიანი?

მოწყ. და: (უკეთებს იუსტინეზე) უ ნეგო ვისოკაია ტემპერატურა. ვიშე ტრიდცატი დევიატი (ორივენი იუსტინესაკენ მიღიან).

ექიმი: რა გტკივა, ბიძი, შენ? გამოსწი ენა! ხო, კარგი!

იუსტინე: ყორფელი მტკივა, ბატონო, მთელი ღამე თეთრიდ ვათენებ.

ექიმი: ნუ გეშინია. აბა გადიძვრე, (სინჯავს მერეთ მოწყალე დას ეუბნება რომელის სახელს), კარგი, ჩაიწიე. მალე მორჩები, ნუ გეშინია. სადაური ხარ?

იუსტინე: ზესტაფონელი გახლავარ.

ექიმი: ლვინო ბეკრია თქვენ სოუელში, არა?

იუსტინე: იმის შეტი რა არის, ბატონო.

ექიმი: მორჩები თუ არა, აგერ გაგიშვებთ
სახლში დასასვენებლათ.

იუსტინე: მოვრჩები კი, ბატონო?

ექიმი: (სიცოლით) აბა რა გიჭირს შენ სასიკ-
ვდილო (მიღის შაქროსაკენ). როგორა ხარ ნატ-
რიაშვალო?

შაქრო: კარგად გახლავართ, შენი ჭირიმე,
გამწერე, ბატონო, თუ შეიძლება.

ექიმი: რას ამბობ, ბიჭო, ჯერ რა დროს შენი
გაწერაა, იყავი ჯერ, ბიძი, დაისვენე (თან სინჯავს)
როცა დრო მოვა, გაგწერთ.

შაქრო: რაღაი ჩემ ამხანაგებს დავცდები, ბა-
ტონო, რა ვამოვიდა.

ექიმი: კი მაგრამ გზაზე რომ დავარღი სულ
უარესი არ არის, ჯერ კიდევ ერთი კვირა დარჩები.
(მიღის თელუასაკენ) შენ როგორ ხარ ყმაწვილო?
ხო, შენ რა ქვია?

თედუა: (სუსტი ხმით) თედუა, ბატონო.

ექიმი: შენზე ამბობენ უმცროსი ექიმები არა-
ფერი სტკივაო, აბა გაიძრე. არ გრცხვენია, შე კა-
ცო ასეთ დროს რა დროს მოგონებაა, როგორაც
რომ ირგვლივ მტერი გვასევია და სამშობლო გან-
საცდელშია.

თედუა: როგორ არ მტკივა, ბატონო! აბა, აქ
რა მინდა თუ არაფერი მტკიოდეს.

ექიმი: აბა, მიჩვენე სად გტკივა, (სინჯავს) სა-
ვერშენნო ზდაროვ. (მოწ. დას) ეგო მოქნო ვიპი-
სატ.

თედუა: ავათ ვარ, ბატონო, მოელი გული
დაკავებული მაქვს, მახველებს.

ექიმი: შენ არაფერი გტკივა ჩემო ძმაო და.
როდი უნდა მაგრე, რამდენი სურდო დაგემართება
იმდენი სააგათმუოფოში უნდა გაიქცე? ის კიარა
რამდენი ჯარისკაცი დღეს შემეხვეწა და ძალით
გაეწერენ, შენ კი არაფერი გტკივა და იგონებ. ეგ
შენი ამხანაგების და სამშობლოს ღალატია ეხლა
სამსახურის დროა და კიდევ ემღვები, სირცხვილი არ
არი? აგერ შენი სახლი, შენ სამშობლოში წელიწადი და
ოთხი თვე სამსახური, აბა იქ როგორ მოიქცეოდი
აი რუსეთისაკენ, რომ გაგიძახებდენ ცივ ქვეყნებში
და მთელი ოთხი ხუთი წელი სამშობლოს ვერც
კი ნახავდი, კიდევ გადაურჩებოდი თუ არა ეს
ღმერთმა იკოდა (მიღის მაგიდისაკენ).

თედუა: კარგათ რომ ვიყო, როგორ არ ვიძ-
სახურებდი, თუ კი ავათ ვარ როგორ ვიმსახურო.

ექიმი: (ცოტა გულმოსული) კარგი ეხლა
კარა, მე ექიმი ვარ, მგონი, შემიძლია შეტყობი.
(მაგიდაზე რაღაც ქალალდებს ათვალიერებს).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ე ქ ვ ს ე.

იგინივე და მსახური.

მსახური: ავათმყოფის დედ-მამა, ბატონო, და
შემოვუშვა.

იუსტინე: (რა რომ მოკრავს ყურს მსახურის
სიტყვებს წამოიწყვა, გახარებული ფრთხილი გადა-
დედმამა, ბატონო, შემოუშვით. გაბლუორთება
ექიმი: (მსახურს) შემოვიდნენ.

მსახური: (გადის) იმ წუთშივე შემოდიან ალ-
მასხანი მზახო და გაკვირვებული ათვალიერებელ
ლოგინებს.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე უ ვ ი დ ჟ.

იგინივე ალმასხანი და მზახო.

ალმასხანი: დილა მშეგიდობის ჩემო, ბატონო.

ბზახო: (თვალს მოჰკრავს იუსტინეს) შეილო!
(გაექანება იუსტინესაკენ ჩახვევა და ჰელცინის).

ალმასხანი: (ესეც მოვარდება) ცოცხალი ხარ,
ბაბა, ცოცხალი,?! (რამდენიმე წამს სიჩუმეა, დედ-მა-
მას და შვილს თვალები იცხებული იქვთ ცრემლე-
ბით)

მზახო: რავა ხარ, დედა, შენ მოგიკვდა დედა
შენი, რატომ დროზე არ მოგვწერე შენი გაჭირება,
შვილი?

ალმასხანი: რითი ხარ, ბაბა, ავათ, რამ დაგლია
შვილო ასე?

იუსტინე: (გულ-აჩილებული) რა ვიცი რით
ვარ, ყოლფერმა ჩემზე მოიცალა, ჯერ მაციებდა
მერე ტიფი მქონდა, მერე ყვავილი მევიხიდე და
ეხლა კიდევ უსაშველო სიცხე მაქვს.

ბზახო: უი შენს დედას, შვილო შენზე მე-
ცალა ყოლფერმა, ბატონები სად შეგეყარა, დე-
ლოცა მისი გზა და სავალი.

იუსტინე: სა შემეყარა და აქანე, მე ციება
მქონდა მეტი კარაფერი, მაგრამ ყოლაფერი აქანე
შემე არა, სხვაფერ შინ რავა არიენ?

ბზახო: ყველები კარგათ არი, შენ შემოგევლო
დედა შენმა. (დედა საბანს ფეხებზე ჰხურავს)

იუსტინე: ბიჭები რას შობიენ?

ალმასხანი: არავინ არაა, შვილო შინ ყველები
სალდათშია, გული ნუ დაგწყდება შეილო, არა
დაუტუებით ერთი ჩვენ ბარობაზე ყველე გერიფა-
ნეს შვილო ვისაც ხვდა ხომ წევიდა და ის იყო,
ვისაც არა და მისით გაეწერა, შვილო, მისით,
დღისვალზე აღარავინ აღარ იყო, შვილო.

ბზახო: დედა, მშეერი ხვარ მოგვლენ აქანეი
მვილო? აგერ წამოგიღე ყოლიფერი დედა, ჰამედ,
კიდო მოგიტან, სულ არ მოგშორდები თუ გამაჩე-
რენ, დედა, (იღებს ხურჯინიდან ხაჭაპურებს და აძ-
ლევს).

ექიმი: (გაკვირვებული) აბა, როგორ შეიძლება
ბატონო! არ მისცე ერთი ლუკმა საჭელი (მიღის
მათკენ) ჯერ არა, აი მალე მორჩება და გამოუშ-
ვებთ სოფელში და მერე აქამეთ და ასვით რამდენიც
გინდათ.

ბზახო: შენმა ცოლ-შვილმა იხარი და იძლიე-
რა, ბატონო, შენ გეიხარე შენ ძირში და მომდევალ-
ში, რაღაი მორჩება და კარგათ მეყოლები აღარა-

ფერს ვჩივი. აბა თქვენ მიირთვით შენი ჭირიმე ეს უბრალო ძღვენი (აწოდებს ექიმს).

ექიმი: აა, აბა, როგორ გეკადრებათ, მადლობელი ვარ, ეგ ჩემთვის საჭირო არ არის, მაგას არ ექმება, რომ არ წახტეს დაურიგე აქ ჯარისკაცებს.

ბზახო: კი, ბატონო, კი შენი ჭირიმე, კი შენ შემოგებლე! რაღაც ცოცხალი დამხდა ჩემი შეილი, ჩემი საწყალი ბიჭი.

ალმასხანი: (ექიმს) ბატონო, შენი ჭირიმე ვითომ აღარაუერი უშის აწი?

ექიმი: ნუ გეშინიათ ეხლა მორჩენილია უკვე, ამ ცოტა ხანში სიცხე დიუკლებს და ფეხზე სიარულს დაიწყებს, კომისიას დაუნიშნავთ და განვათავისუფლებთ რამდენიმე ხნით, წამოვიდეს სოფელში, აქამდე კარგათ და კარგათ შეიქნება.

ალმასხანი: შენი ოჯახი აკურთხოს გამჩენმა, იმედი ნუ მოგიშალოს მაბა ღმერთმაიოსე ქრისტემ.

ექიმი: ეხ, ჩემი მეგობარო რა დროს მოვესწარით და კიდო ვერ აფასებთ რომ უნდა ისე. ვინ განახებდა შეილი წინეთ, ან როგორ შეეგძლო იმ მივარდნილ შორეულ აღგილებში და ქვეყნებში წასვლა. ეხლა აგერ მოხველით ორივე დედ-მამა და ნახეთ შეილი. თავის ქვეყანას არავინ გააცილებს, თუ იბრძვიან ისევ თავის დედმამისა და ცოლ შვილის დასაცავთ, ჩვენ არ გვყავს ისეთი მთავრობა, რომ თვალი არ უძლებდეს მისი ქონებაზე და სხვას ეპოტინებოდეს ან ედავებოდეს, მოვა მტერი ჩვენი ოჯახების ასახერებლათ და პასუხი უნდა გავსცეთ, სამსახურია და — წელიწადი და ოთხი თვე, წინეთ კი ხუთი წელი იყო, ამაზედ უკეთესი რაღა გინდათ. ეხლა კაცმა რომ არ იმსახუროს, სირცხვილი არ არის? როგორ უნდა მოუშვათ ისეთი შვილი სახლში, თქვენ მოვალენი ხართ მოვა თუ არა გამოპარული შეილი, ძალით გამოგზავნოთ სახლიდან თავის მოვალეობის მოსახდელათ სამშობლოს წინაშე, და შეძლებ უკვე ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს უფლება ექნება სახლში მოსვლის. არიან ისეთი ჯარისკაცები, ხშირათ იპარებიან, რონებენ ავათშუოფობას ასე არ უნდა იყოს. ეს — სირცხვილია ებლიანდელ დროში.

ალმასხანი: ჩვენ რაი გვესმის, ჩემი ბატონო, სოფლის ყრუ ხალხს, თუ კი რამეს კაის გაგვიკეთებთ ჩვენ, ყოველთვის ყაბული ვართ ნეტე კარგათ იქნებოდეს, თვარი არი წელიწადი იმსახუროს.

ექიმი: ასე! უნდა იცოდეს ყველა ქართველმა, რომ ჩვენ თუ რამეს ვაკეთებთ, სულ ჩვენი ქვეწისთვის, სულ ჩვენი პატარი საქართველოს ასაყვავებლათ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე რ ვ ე.

იგინივე და მსახური.

მსახ.: (ექიმს) ბატონო ექიმო გთხოვთ მეორე „შინაგანში.“

ექიმი: კარგი ეხლავე, ეხლავე სულ დამავიწყდა. ასე, საჭმელი არაფელი მისცეთ, თუ გინდათ მორჩეს. (გადის).

ბზახო: ვაი მაგისი მშობელი ცხონდა რაფერი შაქარივით კაცია და რა ტკბილათ ემუსაიფება ყველას,

ალმასხანი: ააა, ზოგიერთს ასი რომ უთხრა ერთს არ გეტყვის. ეხ, რას გამორჩება კაცი გლოხა ენით. ყველის ეძლება შესახედათ და ისაა (შემოდის ექიმი თან სდევს მოხუცი გლეხი).

ჯ.-კაცი შავგულიძე.

გავლენა აქვთ სოფლები გოლუმევი გეგუ თუ კრეპი?

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი).

ჰო და იმას ვლაპარაკობდი, თათრებმა აზერბეგიჯანელებმა ეს ვერ მოითმინეს და განჯაში აჯანყება მოახდინეს, მაგრამ შენ რომ ქათამს დაკლავ ან ხეს გადაჭრი, როგორც იმათ ხელ-ახლა გაცოცხლება არ შეიძლება, ისთე შეუძლებელია მათი გარეა. აზერბეგიჯანელებმა თავის თავი თვითონ დაიკლეს და აწი რაც უნდა ქნათ თვითონ თუ დრო არ დადგა სხვანაირი, ისე რომ ბოლშევიკები სრულიათ არ დამარცხდენ, აზერბეგიჯანი მინამ მათი მონა იქნება.

— დაგვიფაროს ღმერთმა!

იქ ხალხის ბრალი — კი არაუერია, მთავრობამ ქმნა ყველაფერი, მან დაღუპა აზერბეგიჯანი!

— შეაჩვენოს ღმერთმა მაგისთანა მთავრობა!.. ჩვენ ასე ხაუბრით მივდიოდით.

დაუახლოვდით ერთ კარგა მოზრდილ ყანას, სადაც ათი თორმეტი ახალგაზრდა ნაღურით გამალებით ურტყამდა თოხს.

მშევნიერი იყო ნადური!

ჩვენ ძლიერ ახლოს დაუახლოვდით, ნადური შეწყდა. ხმლო ერთის ხმაშილლა ღაბარაკი ისმოდა. მე ძლიერ მაინტერესებდა თუ რაზე ღაბარაკობდა. ვვიქრობდი: ალბათ მთავრობაზე და მის მოქმედებაზე, რადგანაც ჩემ სოფელში ყოფნის დროს როდესაც ჩუმათ გამივლია და მოლაპარაკესათვის ყური დამიტია გარდა მთავრობის მოქმედებაზე და ჩვენ მდგომარეობაზე არავინ ღაბარაკობდა.

— ერთი თუ ამ ომს გადურჩით და შემდეგ ბათუმი ჩავიგდეთ ხელში საქართველოს ველარავინ აჯობებს. უყვებოდა მოსაუბრე.

— გადარჩენილი ვართ, ნუ გეშინიათ ბათომიც მალე ჩვენი იქნება და ომიც უკვე გათავდა. დაუძახე ხმა მალლა მოლაპარაკეს და გამარჯვება ულოცე მუშებს!

— ეს დ.... არ არის? — კითხა ერთმა მუშამ მეორეს.

— მგონი ის უნდა იყოს. —

ჰო, დ....! მოითმინეთ, ახალი ამბავი გვითხრით რამე.

მეც მივბრუნდი და რაც ვიცოდი ჟულდასმით გაუზიარე პატიოსან მუშას.

ძლიერ გულ-დამამშევიდებლათ იმოქმედა რუსეთთან და აზერბეგიჯანთა ხელშეკრულობის ამბავა.

— ეხლა ბათუმი და სხვა აღარაუერი! — სოქვა ერთმა.

— უბათუმოთ ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ — დაუძატა მეორემ.

— ნუ გეშინიათ, ბათუმიც მალე ჩვენ ხელში იქნება. ჯერ სხვებს მოვრჩეთ...

— ერთი ის უნდა დამეტებჩვა მოსაწური ჭკვიტა-სავით, ის ლაშირაკი, თავ-ტანის არაფერი იცის და მთავრობას უსწორებს!

— ვისხე ამბობ ამას, ნესტორ? შევეკითხე მე.

— აგერ, ლაშირაკი გ—გის შეილია, გაუთავებია რაღაც „ჩემოდანივით“ ეჭირა და ქალადები ეშყო. ჩვენ რამდენიმე კაცი შექრებილი ვიყავით.

აქ კრება უნდა გავმართოო. ჩვენ გაგვეხარდა რამე ახალ ამბავს გვეტყვის თქმ. დაიწყო მთავრობის გინება, ბატონ-ყმობა მოვაო, თათრების ამხანაგები რუსებია, ნუ ეჩეუბებითო. გიურა ვილაცაა, მტერი სახლში მოდის და ნუ ეჩეუბებითო! გვინდოდა რომ შეგვეთრია კოოპერატივში მოგვეთელა რჯულზე, მაგრამ აღარ ვქენით შეგვეცოდა. თუ გაყოჩა აწი მაგისთანა წიწილები, მე ვაყურებიებ სეირს. როგორც კვახი ისე დავარტყამ მიწაზე!

— არა ჩემო ნესტორ, რწმენის თავისუფლება და რას უზამ... მაგისთანა ტყუილებს, რომ დაიწყებს დაიჭირეთ და პასუხი აგებით, ისე ილაპოს რამდენიც უნდათ, თქვენ ნუ დაუჯერებთ...

— თქვენ „სალდათები“ ხართ, როგორც წიწილები, ისე უნდა დაანარცხოთ მიწაზე მაგისთანა მატყუარები!..

— ჩვენ ჯარის-კაცები, ჩემო ნესტორ, მაგრე როდი დავდივართ! არც შენ უნდა იუიქრო ამგარით. იმან ილაყბოს რამდენიც უნდა. თუ არ მომეწონება არ ჩავეწერები მათ პარტიაში. ასე უნდა და ასე...

— არა ჩემო დ....! შენ რომ აშენებ და სხვა მაგას ნგრევას დაუშებეს, მოკლავ კი არა მეტაც უზამ. შენ არ მოკლავო, მატყუარებს არ დაუჯერებო, იმიტომ, რომ, იცი და ვინ არ იცის? ბოლ-შევიკები თუ რაღაც ჯანდაბა, რომ გვპირდებიან აგაშენებთო, ჩვენმა მთავრობამ რა დააშავა, იმისთანა რომ სძულთ? მათი აშენებული თვითონ ქონდეთ, სადაც არიან. ხეაღინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნია. ასე არ ირის პავლე? — შეეკითხა გვერდში მუშას და თან მაგრათ დაჭრა თოხი.

— შენც გადაგაკერეს „პაგონები“? მკითხა პავლე.

— მე რა ვარ, სამშობლო ყველამ უნდა დავიცათ, — უთხარი მე და სიცილით კამოვბრუნდი.

ყველა თანმგზავრი დამტილდა. მივდიოდი და თან ვფიქრობდი: იი ეს არის ბოლ-შევიკების სინდისი, რა პირიღან ამოუვიდათ, რომ რუსეთიდან პური არ მოდის და მიტომ გაძვირდათ. თუ საქართველოს მთავრობა დამკვიდრდა ბატონ-ყმობა მოვაო და ძველებურათ გლეხები აზნაურებს დაუბრუნდებითო. სასაცილოა! რომ არ უჯერებდნ. ესეც კარგი. ჩემ სოფელში ყოფნაში მხოლოდ ერთი ვნახე, რომელსაც, თუ დაეჯერება, ნამდვილათ არც ის იყო დაჯერებული.

სხვა კი რამდენიც მე შემხვდა ყველა აძაგებდა ამ „მართალ“ ნაქადაგებ „აზრებს“ და ლანძღვა გინებით იხსენიებდენ.

ამ შემთხვევის შედეგ რამდენიმე დღე დავრი სოფელში.

ადგილობრივი ერობა ყოველ ჯარის-კაცის ოჯახს ეხმარებოდა, როგორც მუშარდებულები რივათ. რასაკვირებელია მეც ძლიერდებულები უკან რომ მოვდიოდი ყველა მეკითხებოდა ახალ ამბავს. თუმცა დაძველებული იყო, მაგრამ სიმოვნებით უყვებოდი რაც ვიცოდი.

ყველა აძაგებდა ბოლ-შევიკებს, ყველა დარწმუნებული იყო მათს მატყუარობაში ჩამოვედი სად. ა—მეტში. ცოტა მატარებლს დაგვიანდა.

იქით აქეთ ვიწყე სიარული და თან ვფიქრობდი:

— არა, ბოლ-შევიკები სოფლათ ვერ მოიკიდებენ ფეხს. შეიძლება მოატყუონ ერთი ან ორი, მაგრამ ასი ირს მაღე მოარჯულებს.

სან. ჯარ.-კაცი.

ა კ ა ბ ი ს ს უ ლ ს.

ვით სპილო სპილოთ არ ვარგა
თუ არ ექვება ხურთუმი
ისე ქართველი ქართველით
თუ მას წაერთო ბათუმი!

„ კ ა ბ ი .“

სულმნათო! სულით იხარე
აღსრულდა შენი ნანატრი!
სამშობლოს უკვე ურჩება
გული მტრებისგან ნაღადრი!
დილით მზე კოცნის, და ღამით
მოვარე გულ მშვიდი თვალბალრი!..

ბათუმი ჩვენი პჭე კარი,
ემბაზი ნათელლებისა,
დამცველი გამომხატველი
ჩვენის რაობა-ნებისა —
ამაერილგან ჩვენია;
აღარ გვეშინის მტრებისა!

ახარე ქართლის დედასაც,
რომ მისი ორი შვილია,
ავ ბედთა ძალით ერთმანეთს
მოგლეჯილ მოწყვეტილია —
გაერთიანდენ! დრო უდგათ,
დრო სანეტარო, ტკბილია!

სხვათაც ახარე, მანდ მყოფთა,
შენსავით უკვდავ სულებსა,
რისთვისაც იტანჯებოდენ,
გულზე იჩენდენ წყლულებსა —
აღსდგა, ის დავით გმირს ფერობს
ახდენს სულ სასწაულებსა!

ერთისა ხელით სახლს აგებს,
სახლსა დარბეულს რღვევულსა,
მეორე ხელით პასუხს სცემს
მტრებს ოთხივუთხივ სეულსა,
სისხლის ფერ ასოებით სჭერს
თვის არსებობის რვეულსა!

ფიცს სდებენ, აღარ უმუხთლონ
ერთმანეთს „სხვათა“ ენითა,
აღარ აუსიონ დედასა
სიცოცხლე სევდა-წყენითა
ერთობის დროშა წითელი
მაღლა ეჭიროთ ლხენითა!

„ გარსევანიშვილი .“

წერილი ფრთხილიდან.

ეროვნული
ბიბლიოთისა

ძმაო, იი მე ეხლა ფრთხილზე ვარ,
მშეიღსა ცხოვრებას გამოვექეცი;
აქ ზარბაზნებთან მორჩილათ ვდგევარ
შვება-სილალის ფრთხებ-შენაკეცი.
ვდგევარ პირქუშად, შეუპოვრადა
და ბრძოლის ცეცხლით ვარ შენატრუსი;
ვინ გინდა ჩვენ წინ არ იდგეს მტრადა:
თურქ-ხატაელი, თუ ბრიყვი რუსი...
წვიმაში კიდე თაგვისა სოროს
სასახლედ ქსახავთ ვიწრო კარებით
და ისიც ჰედება: ცხარე ბრძოლის დროს
ყანაში თავთავს შევეფარებით.

აქ სიცხადეა აზრიც, ფიქრიცა,
აქ ხელოვნური არა რა არა:
მაღლა ცა არის და ღამლა მიწა,
ხოლო მათ შუა ჩვენა ვართ მდგარი.
როცა წვიმს გვცივა, როს მზეა—გვცხელა,
ღოლოც აქ ისევ იზრდება ღოლოდ—
ჰო, სინამდვილე—არის აქ ყველა
და კაციც კაცის მგელია მხოლოდ.
სხვას ვჯობივარო, ვინ იტყვის ვინა?
თანაბრადა ვართ აქ მოხვეტილი,
თანაბრად ვდგევრთ სიკვდილის წინა
და თანაბრადაც გვაშუხებს მლილი

მაგრამ... კი ვიცით მხიარულება,
არ მყარგავთ მაინც ჩვენს ხასიათსა,
ვჭამთ და ვსვამთ საღმე თუ გვეგულება
და სიმღერებით ვირთმევთ გნიასსა.
ამ ღროს ნიავიც სურნელოვანი
მოსალამურობს მწვანე მთა-ველით
და ყველა: მცირე, ან თუ წლოვანი
იმ სიცოცხლესთან სიკვდილსაც ველით...
მანდა, ძმავ, მანდა? — ღმერთი მტრფობელთა
არ ჩამოეხსნა კაუე-შენტანებს?
ნეტაი სულთა იქა მყოფელთა!
ნეტაი მყოცნელო და გადამტანებს!..

ი. მჭედლიშვილი.

**

გეყოფა, ნულარ ტარტარებ,
ნუ ასარსარებ ენასა,
თორებ გაუწყდა ილაჯი
მოთმინებას და წყენასა.

დიდი ხანია შეამს მაწვდი
პურის და წყალის წილადა,
ჩემო გულ-ღვიძლის შემქმელო
მისთვის მიგიდე შვილად?

რომ... მაგრამ აბა რა გიოხრო,
ყადრი არ იცი თავისა,
თვით დედამიწის სიტურფებ
ვერსად ვერ შეგითავისა.
გარჩევა არსად გქონია,
არსად კარგის და ავისა,
ნეტავ რა ჩემი ზრალია
მაღა რომა გაქვს სეავისა!

თუ გინდა კუჭის სიკეთე
და იყო ერთვარ ზომაზე,
არც შენს თავს ავნო არც სხვასა,
ძვალი ჩაყლაპე ზომაზე.
თორებ მოუკლავს მრავალი
დიდს სურვილსა და ნებასა:
„თავს სინანული სჯობია“
ბოლო დროს დანანებასა.

კარა, ნულარ ტარტარებ,
ნუ ალესგველებ ენასა,
ისედაც ძაფი გაუწყდა
მოთმინებას და წყენასა.

შიო მლვიმელი.

ვუაღვნი მხედარს.

ძლევის დროშა ხელში გეპყრას
და წინ ვლიდე მარჯვე გზითა,
მოუწოდე შრომის შვილებს
მქუხარე და მედგარ ხმითა,
რომ დღეს თავისუფალია

მიჯაჭული ამირანი,
ქაჯთა მეფეს გამოვგლიჯეთ
ჩვენი ნესტან-დარეჯანი.

დღეს ჩვენ გვინდა ჩვენი ტურფა
მოვეაზმოთ და დავამშვენოთ,
რაც რომ მტრობამ დაგვინგრია
სიყვარულით ავაშენოთ.

და წინც ამას ხელს შეგვიშლის,
გინდ უცხო გინდ შინაური,
მას მახვილით გავცემო პასუხს,
რომ დააჩნდეს გულზე წყლ ული.

კ. მინდიაშვილი.

„თეთრი გიორგი“.

მეომართა სიმღერა.

აბა ბიჟებო, კვლავ შემოეძოხოთ;
ხვალ გველის ბრძოლა, ბრძოლა ძლიერი;
ვინც ხვალ მოკვდება გმირულ სიკვდილით,
იგი იქნება კვლავ ბედნიერი.
ვიმღერით აქაც და ბრძოლაშიაც,
ქართველს ტირილი არა სჩვევია,
და ჩვენს წინაპრებს ასე სიმღერით
თვის მეტი მტერი დაუძლევია...

1 პირი. იგერ ვაჟყაცი ომში მოუკლავთ,
თავს დაპერიხინებს მერანი შეწყვეტილი
უცვავი უწიწენის ლომ გულა მოკვდილი
იმას უგრილებს ნაზი ნიავ;
მამულს მიუძღვნა თვისი სიცოცხლე
და მამაცურად შესწირა თავი...

2 პირი. ბედნიერია, მისი სახელი,
თავისი თავი მამულს შესწირა,
მტერს შეებრძოლა, სამშობლოს მტერსა,
და მის დაცვაში ის გაიგმირა;
არც კი შეუდრე მზაკვარ სიკვდილსა
და ვაჟყაცურად თვალში უმზირა.
და სიცოცხლეი, რომელიც იმას

ტურფა სამშობლომ ბედად არგუნა,
ვითაც შეძფერის გმირს მეომარსა
ბრძოლაში უკან მასვე უბრუნა...

ძველი ქართველი.

საქართველოს ჰქონია ბევრი კარგი დროფში,
უწერია წარსული სისხლია ასოებითა;
მას ჰყოლია თავისი შუქმფინარე მზეები,
ულოცნია განგება წრფელიდ, სასოებითა!
მათი მეთაურების ვაჟყაცური ძახილი
ველზე ეფინებოდა, მტერსა სცემდა თავზარსა,
ხმალს უყრიდა გულ-მკერდში მამულისა ორგულსა,
და თან კვევას ასწავლიდა თავხედს და აბეზარსა.
ნაშთად ჩვენ დაგვიტოვებს ისტორიის ფურცლები,
ფურცლები სისხლიანი, დაფლეთილი ილამი;
გამარჯვებას ჩვეული თავს არავის უხრიდა,
„გამარჯვება“ ა მათი ლირსული სალამი.
თეთრი გიორგი იყო მათი მხსნელი, მფარველი,
თეთრი გიორგი იყო გამარჯვების სიბმოლო,
და დღესაც ეს გიორგი მიტომ არის ყველასათვის
მარადისი ცხოვრების დასაწყისი და ბოლო.
გამარჯვებას ჩვეულმა მონობა ხმა არ იკის
მარადისი გვირვევინი, ბრძოლის ველზე სიკვდილი,
აი მათი ოცნება, (გმირი წინაპრებისა),
ბრძოლა იყო დღეობა, ბრძოლა იყო ქორწილი.

ბრძოლის ველზე.

მზე ჩავიდა, მოვარემაც სხივები გადმოყარა,
ბნელს მოჰყინა სინათლე, იგი მით გაახარა.
სისხლით მოზრულო ბრძოლის ველს მწარედ უწყო
უურება
და თან ციავ ვარსკვლავებს მაზედ ესაუბრება:
„ბრძოლა გათავებულა, ჰედავთ დაჭრილს მეომარს,
სიმწარით არ ასვენებს ის სისხლიანს მკერდს და
გვამს,
სიკვდილი გვერდზე უზის თვისი ბასრი ცელითა,
ვერ დახუჭებს თვალებსა მეგობრულის ხელითა!
ვაგრამ უცხო დაუგდეთ, თითქო ამბობს რალაცას,
ვედრებისა თვალებით გვეკონება შესთხოვს ცას!
ება, კიდევ... უყურეთ! გესმით, გესმით ხმა მისი?
სიტყვა გაიმეორა წინაპრთა, მამისი...
„ეჭ. სამშობლო მშვენიერო, წალკოტო და
თაგულო.

დაე მოვევდე, ოღონდ შენ კი თავისუფლად
დაგიგულო,
ბედნიერი მით მაინც ვარ, რომ შენ წიაღი არ
ვშორდები,
შენი შეილი, შენი ზრდილი, მკედარიც მკერდში
ჩაგეკვრები“...

სამხედრო სკოლის ჯ. კ. ალ. იასაღაშვილი.

საგუშაგოზედ ვდგევარ მარტოდ ამხანაგ თოფით სამშობლოს უღრმეს სიყვარულით გაკლდევებული, და მზად ვარ ჩემი სიკაპუკის უწიკვლო გრძნობით არ დავერიდო სიკვდილსაც კი გამხნევებული.

საგუშაგოზედ ვდგევარ მარტოდ ამხანაგ თოფით
სამშობლოს უღრმეს სიყვარულით გაკლდევებული,
და მზად ვარ ჩემი სიკაპუკის უწიკვლო გრძნობით
არ დავერიდო სიკვდილსაც კი გამხნევებული.

მოვიდეს თუ გინდ გველეშაპიც ას-თავიანი
მე მისი რისხვა და მუქარა ვერ შემაშინებს,
შორს ჩენგან შაში!.. მე ქართველი ადამიანი
მის გულში ჩავკლავ ჩემი შთანთქმის გრძნობებს
აშლილებს

ვსდგევარ, დავსცერი მე ამაგარ დალუქულ
ბეჭედს,
მტრისადმი ზიზღით იღვსილი მაქვს მრისხანე გული
და ვაი ჩემზედ ვერაგულად და მტრულად შემხედს
ვაი საზიზლრებს, რომელთაც სძულო ერი ტანჯული.

კ. კ. მ. ბუბულაშვილი.

კულტურული მუშაობა ჭარში და გვარდიაში.

(ქ. ოზურგეთი).

აქ დაარსებულია საგარნიზონო ჯარის-კაცთა და
გვარდიელთა უნივერსიტეტი, თეატრი და სკოლა.
იმართება წარმოდგენები, რითაც ჯარის კაცები
დიდათ კმაყოფილი რჩებიან. მეცადინეობა სკოლა-
ში, რა თქმა უნდა, მიმდინარე მდგომარეობით ცო-
ტა შეფერხებულია, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს,
რომ როდესაც ნორმალური მდგომარეობა დადგე-
ბა აქაც მეცადინეობა სისტემატიურათ დაიწყება
და დიდს ნაყოფს მოუტანს ჩენენს ჯარს და გვარ-
დიას. აგრეთვე აქვე არის მოთავსებული საქართ-
ველო, სადაც მოდის კულა მიმართულების ურ-
ნალ-გაზეთები. გაზეთების კითხვას ჯარის გაცემი
დიდი ხალისით ეწიფებიან. მოდის აგრეთვე „საქ.
კომუნისტიცი“, მაგრამ მისი წაკითხვა არაფრთა
ეპიტნავება ჯარის კაცებს. ეს გაზეთი სიტყვით
თითქოს საქართველოს დამცველი გაზეთია, საქმით
რუსეთის, ძველი რეემის და პიროვნებათა
დამცირება, დარბევა-აწიოკების მეტს ვერაფერს
ამოიკითხავთ „საქ. კომუნისტ“ ის ფურცლებზე. მით
უმეტეს დღეს, როდესაც ჩენენს ქვეყანას წილათ
დიდი გამარჯვება თავის ღირსეული მთავრობის
ხელმძღვანელობით: ბათუმის ოლქის შემოერთებ-
რითაც დღეს ჩენენ დემოკრატია ზეიმობს. „საქ.
კომ.“ ფურცლებზე ამის შესახებ ერთს თანაგრ-
ძნობ სასიხარულო სიტყვებს ვერ ნახავთ. ნუ თუ
ნე არის დემოკრატიულ საქართველოს დამცველი
გაზეთი!!

გვარდიელი პეტრე სარჯველაძე.

ჭარის-კაცთა და გვარდიელების ეროვნული
ურადსალებათ.

აქარლებთან შეტაკების დროს 1 ივლისს
დაიწრენ მე-4 ქვეითა ათასეულის ჯარის-კაცები
და ახალციხის რაიონის გვარდიელები, რომელიც
მოსარჩენათ იმყოფებიან სოფელ ადიუგენში №
ბრიგადის შემხვევ რაზმის ლაზარეთში:

1. ჯარის-კაცი ჩუბინიძე გარლამი, შორაპნის
მაზრიდან, სოფ. ჭავაციხე, დაჭრილია მარცხენა
ფეხში.

2. ჯარის-კაცი ახალაძე სიმონი, ქუთაისის
მაზ., სოფ. წყალტუბი, დაჭრილია მარცხენა
ფეხში.

3. ჯარის-კაცი ჭიჭალეიშვილი მელიტონი-
ოზურგეთის მაზ. სოფ. ნიგოითი, დაჭრილია მარ-
ცხენა ხელში.

4. გვარდიელი ბალდოშვილი გაბრიელი,
ახალციხის მაზ. სოფ. უდე, დაჭრილია მარჯვენა
ხელში.

5. გვარდიელი გოზალაშვილი სერგო, ახალ-
ციხის მაზ. სოფ. ვალე, მარცხენა ბეჭიდან ტყვია
გასულია მარჯვენა ბეჭის ზედა პირზე.

დაჭრილები კველანი კარგათ გრძნობენ თავს,
ჭრილობებიც უმთელდებათ და მშობლებს მათი
ჯავრი ნუ ექნებათ სრულიად. სულ ახლო მომა-
ვალში კველანი მორჩენილნი ჩამოვლენ სახლებში.

№ ბრიგადის შემხვევ-სამურნალო
რაზმის ექიმი სოსო ასლანიშვილი.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

პასუხის მგებელი რედაქტ. 6. კურდღელაშვილი.

კურველ-კვირეული ეურნალი
„ესედანი“

ჯარის და გვარდიის ნაწილებს ურიგდე-
ბათ უკასოთ.

გასასურდათ თითო ნომერი დირს 10 მან.

რედაქტია და კანტორა დროებით მოთავსებულია:
რუსთაველის ქ. სამხ. სამინისტროსთან არსებულ
კულტურა-განათლების სედციაში.